საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/333

ქ. ბათუმი 07 აგვისტო, 2013 წ.

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2012-2013 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2013 წლის 31 ივლისის №3785 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა იმ სტუდენტთა სია, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა ამოიწურა 2012–2013 სასწავლო წლის ბოლოს, ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები. აღნიშნულიდან გამომდინარე კანონშესაბამისია დაიწყოს ამ პირთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება რსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-9 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუ-დენტის სტატუსი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72 - 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-9 მუხლის მე–6 პუნქტისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2013 წლის 31 ივლისის №3785 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ბსუ-ს **ტურიზმის ფაკულტეტის** იმ სტუდენტთა ***(დანართი 1)*** მიმართ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2012–2013 სასწავლო წლის

ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (აქვთ აკადემიური დავალიანებები);

2. დაინტერესებულ პირებს - სტუდენტებს ***(დანართი 1)***, ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ **7 დღის ვადაში** წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით;

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2013 წლის 13 აგვისტოს შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე;

4. ბრძანება ოფიციალური გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან არსებულ და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე (საჯარო გამოცხადება), რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატსა და კანცელარიას. ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

5. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა.ბაკურიძე**

დანართი 1

ტურიზმის ფაკულტეტი

2012-2013/წ

№	სპეციალობა	საფეხური	გვარი, სახელი	პირადი/№	დარჩენილი კრედიტები
1.	ტურიზმი	საბაკალავრო	ახვლედიანი არჩილ		23.5 კრედიტი
2.	ტურიზმი	საბაკალავრო	თურმანიძე ნანა		24 კრედიტი
3.	ტურიზმი	საბაკალავრო	კაკალაძე მარიამ		35 კრედიტი
4	ტურიზმი	საბაკალავრო	კვირიკაძე გელა		20 კრედიტი
5	ტურიზმი	საბაკალავრო	მჟავია მარიკა		10 კრედიტი
6	ტურიზმი	საბაკალავრო	ნატარიძე კახა		10 კრედიტი
7	ტურიზმი	საბაკალავრო	ნაჭყებია ქრისტინე		105 კრედიტი
8	ტურიზმი	საბაკალავრო	ჟღენტი მინდია		10 კრედიტი